899.962.1(ᲥᲐ)
Ზ-427

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ

ᲘᲖᲝᲚᲓᲐ ᲛᲐᲪᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲖᲝᲒᲐᲓᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲘᲗᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ (IX-XI ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ)

13.00.02 ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
2005 ᲬᲔᲚᲘ

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის სწავლების მეთოდიკისა და საგამომცემლო საქმის კათედრაზე

სამეცნიერო ხელძღვანელები. **ალბერ თოფურია**
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.
ამირან გომართელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: 1. **იუზა ევგენიძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, (10.01.01)
2. **თუთი ჩიჯავაძე**, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, (13.00.02)

13⁰⁰ დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 28 ივლისს 13⁰⁰ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.10№4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: ქ. თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 27/IX

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერ
დოქტორი, პროფესორი /ნოდარ ტაბიძე/

Тбилисский государственный университет им. И. Чавчавадзе

- 2013 -

შესავალი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა – ქართული სკოლის არსებობის მთელ მანძილზე ახალგაზრდობის განათლების, ეროვნულ-პატრიოტული, მორალურ-ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში ყოველთვის უმთავრესი ადგილი ეჭირა ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით, ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსის სწავლებას, რადგან იგი წარმოადგენს მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების, სრულფასოვან მოქალაქედ აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას. სწორედ IX-XI კლასებში, ლიტერატურის ისტორიის სასწავლო კურსის ეტაპზე, ყალიბდება მოსწავლის ზნეობრივი სახე, მისი მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივი, ლიტერატურული თუ ესთეტიკური იდეალები. ამისათვის კი მარტოოდენ ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსში შემავალი მონოგრაფიული თემების სწავლება საკმარისი არ არის. მონოგრაფიულ თემებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ზოგადმიმოხილვითი თემები, რომელთა სწავლების ისტორია იმ დროიდან იწყება, რა დროიდანაც არსებობს თვით საგანი – ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსი.

ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი მეთოდიკური პრობლემის აქტუალურობა განსაზღვრა: ა) ზოგადმიმოხილვითი თემების სკოლაში სწავლების ხანგრძლივმა ისტორიამ; ბ) ამ თემების განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ და ადგილმა ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსში; გ) ამგვარი თემების სპეციფიკურობამ და მათ სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საჭიროებამ; დ) დაბოლოს, ზოგადმიმოხილვითი თემების სწავლების საკითხი დღემდე არ ქცეულა მეცნიერული კვლევის საგნად და არ არსებობს მონოგრაფიული ნაშრომი ამ თემაზე. აქედან გამომდინარეობს საკვლევი თემის პედაგოგიკური და მეთოდიკური სიახლეების აქტუალურობა.

კვლევის საგანი და მიზანი – ზოგადმიმოხილვითი თემების სწავლების პრინციპები და ორგანიზაცია ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსის ეტაპზე, IX-XI კლასებში. ზოგადმიმოხილვითი თემების დეფინიციის საკითხი, მათი კლასიფიკაცია, ამ თემების სწავლების ზოგადი პრინციპები, მათი სპეციფიკურობა,. მათ სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელეები და ამ სიძნელეების